

ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N53 საცხოვრებელი სახლის
N34 ბინაზე, მოქალაქე გენადი მაჩიტაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა სულხან-საბას გამზირი N53/34 ბინაში მცხოვრები მოქალაქე გენადი მაჩიტაძის წარმომადგენლის ნორა მურღულიას განცხადება /2014 წლის 28.03 Nმ-2148/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N53 საცხოვრებელი სახლის N34 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე გენადი მაჩიტაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N53 საცხოვრებელი სახლის N34 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე გენადი მაჩიტაძეს /პირადი N41001009035/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N53 საცხოვრებელი სახლის N34 ბინაზე, საერთო ფართობი 47,89 კვ.მ, /საცხოვრებელი ფართობი 26,29 კვ.მ, დამხმარე ფართობი 21,60 კვ.მ./ მოქალაქე გენადი მაჩიტაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

შ.მურღულია